სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

25 / აგვისტო / 2023 წ.

KA021778409408623

№ **1/1-5362**

ბრძანება

რიგი ქონებების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტებისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „„სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილების, „„სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებისა და სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის" უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.განხორციელდეს რიგი ქონებების (დანართი N1-ის შესაბამისად) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება. საწყისი საპრივატიზებო თანხა, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა და სავაჭრო ბიჯის ოდენობა განისაზღვროს ამავე დანართის შესაბამისად.

2.მყიდველი ვალდებულია საპრივატიზებო თანხა გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

3.დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

4.საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე